ᲯᲐᲛᲝᲚᲔᲑᲐᲜᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲕᲔᲢᲔᲑᲘᲡ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ
21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
1939 Წ.
№ 191 (5591)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ, ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲡ** ᲓᲐ **ᲑᲔᲠᲘᲐᲡ** (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ - ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ - ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ (1-ᲚᲘ ᲒᲕ.)

ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲣᲖᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲡᲐᲥ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ (ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

ᲣᲪᲮᲝᲗᲔᲗᲨᲘ: ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲣᲬᲔᲮᲔᲜᲔᲑᲘ ᲪᲓᲐ (ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲩᲔᲮᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲐ (ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲚᲘᲓᲐᲜ) (ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ)

ᲐᲚᲤᲨᲝᲗᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲜ ᲫᲘᲜ - ᲕᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ (ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ— ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲕᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ!

ᲢᲠᲔᲡᲢ „ᲡᲐᲥᲜᲐᲕᲗᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ, ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲬᲛᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲙᲠᲝᲑᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲛᲔᲛᲖᲐᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ, ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲜᲛᲒᲠᲫᲝᲑᲡ, ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ - ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲜᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲕᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲛᲑᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) XVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲔᲙᲠᲘᲑᲜᲔᲜ ᲠᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲗᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲗᲐᲛᲑᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲝᲛᲑᲘᲗ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ.

200-300 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲡ ᲮᲐᲑᲣᲠᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲝᲡᲣᲚᲔᲑᲘ. ᲡᲢᲐᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ — ᲯᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲮᲣᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ; ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲔᲑᲘ—ᲥᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ. ᲡᲐᲔᲡᲘᲐᲜᲘ, ᲡᲐᲙᲠᲔᲚᲘᲣᲡᲝ ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘ ᲙᲐᲛᲚᲐᲪᲙᲘ, ᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲗᲝᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲖᲔᲘᲜᲙᲐᲚᲘ ᲖᲐᲐᲕᲘ, ᲛᲔᲙᲝᲨᲙᲔᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ ᲒᲚᲐᲓᲩᲔᲜᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲣᲨᲐᲝᲜ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲜ 11 ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ 8 ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲘᲡ ᲗᲮᲠᲐ.

2. 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲝᲜ 9 ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘ ᲓᲐᲖᲒᲐ.

3. ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲝᲜᲔ: ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ 4 ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, 12 ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘ, ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘᲡ 12 ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲜ ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.

III. ᲡᲣᲤᲡᲐ - ᲝᲛᲤᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ

1. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ.

2. ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲜ 8 ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ 7 ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲘᲡ ᲑᲣᲠᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲘᲡᲘᲜᲝ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓᲔ.

3. 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲝᲜ 6 ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘ ᲓᲐᲖᲒᲐ.

4. ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲜ ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ 25 ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

IV. ᲜᲝᲠᲘᲝ - ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ

1. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ.

2. ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲜ 5 ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ 4 ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲘᲡ ᲑᲣᲠᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ ᲘᲡᲘᲜᲝ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓᲔ.

3. 1939 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲝᲜ 5 ᲛᲑᲣᲠᲦᲐᲕᲘ ᲓᲐᲖᲒᲐ.

V. ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲔᲑᲨᲘ

1. ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲗᲝ - ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ - ᲛᲣᲮᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲛ ᲕᲐᲠᲐᲧᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲮᲧᲝᲜ ᲐᲛ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲫᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ 1940 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲠᲣᲙᲐ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲔᲡ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲚᲝᲜ ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ, ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲬᲕᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲪᲝᲛᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ.

19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲢᲠᲔᲡᲢ „ᲡᲐᲥᲜᲐᲕᲗᲘᲡᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ: Ა. **ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ**—ᲢᲠᲔᲡᲢ „ᲡᲐᲥᲜᲐᲕᲗᲘᲡᲘᲡ“ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, **Ვ. ᲐᲛᲘᲐᲜᲘ, Ხ. ᲒᲐᲚᲣᲡ ᲢᲝᲕᲘ, Ი. ᲙᲐᲠᲐᲡᲔᲕᲘ, Შ. ᲒᲐᲠᲓᲐᲤᲮᲐᲫᲔ** — ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲔᲑᲘ, **Შ. ᲪᲐᲥᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲡᲐᲥ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲬᲘᲗᲔᲚᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, **Ი. ᲚᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲡᲐᲥ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, **Ს. ᲑᲣᲐᲫᲔ** — ᲡᲐᲥ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, **Კ. ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ**—ᲑᲣᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, **ᲤᲨ. ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲑᲣᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, **Ვ. ᲑᲐᲠᲑᲐᲫᲔ** — ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, **ᲒᲛ. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘ** — ᲡᲣᲤᲡᲐ-ᲝᲛᲤᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, **ᲗᲐ. ᲡᲣᲠᲒᲕᲐᲫᲔ** — ᲡᲣᲤᲡᲐ-ᲝᲛᲤᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲜᲝᲠᲘᲝᲨᲘ, **ᲡᲢ. ᲙᲝᲜᲓᲠᲐᲢᲝᲕᲘᲩᲘ** — ᲡᲣᲤᲡᲐ-ᲝᲛᲤᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, **ᲖᲐᲠᲐ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲐ** — ᲔᲥᲡᲞᲚᲝᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲜᲝᲠᲘᲝᲨᲘ, **Ა. ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲝᲕᲘ**—ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ, **Ა. ᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**—ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲣᲮᲐᲚᲢᲔᲠᲘ, **ᲑᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲐ**—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ, **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ** — ᲡᲐᲥ. ᲙᲐ. ᲞᲘ. (ᲑᲘ) ᲪᲙ-ᲡᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔ, **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ** — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია

მთავრობის მიერ საქართველოსათვის დაწესებული წლიური გეგმა აბრეშუმის პარკის დამზადებისა 3.870 ტონის რაოდენობით გადაჭარბებით არის შესრულებული.

ფაქტიურად დამზადებულია 3895 ტონა აბრეშუმის პარკი, რაც გეგმის 100,6 პროცენტს შეადგენს.

იმის მეიხებით, რომ განუხრელად სრულდებოდა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მითითება აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში ქისტაურელ სტახანოველ მეაბრეშუმეთა და მეაბრეშუმეობის სხვა მოწინავეთა შესანიშნავი გამოცდილების ფართოდ დანერგვის შესახებ, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემოკლდა ჭიის გამოკვების ვადები. ამან შესაძლებელი გახადა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 20 აგვისტოსათვის, ნაცვლად გასული წლის 25 ოქტომბრისა, ე. ი. 2 თვითა და 5 დღით უფრო ადრე.

თუ გასულ წელს გაზაფხულის გამოკვების ერთი კოლოფი აბრეშუმის ჭიიდან მიღებულ იქნა 43.2 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, მიმდინარე წელს კოლოფი თესლიდან მიღებულია 44,3 კილოგრამი.

აბრეშუმის ჭიის გამოკვების ხანგრძლივობის შემცირებამ შესაძლებელი გახადა ზაფხულის გამოკვებისათვის თესლის მომზადება 20 დღით ადრე გასული წელთან შედარებით, რამაც უზრუნველჰყო მაღალხარისხოვანი პარკის მიღება.

მიმდინარე წელს დამზადებული პარკი მაღალი ხარისხისაა.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულებასთან ერთად საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა წარმატებით მოამზადა თესლი როგორც მიმდინარე წლის განმეორებითი გამოკვებისათვის, ისე მომავალი წლის გაზაფხულისათვისაც. მომავალი წლის გაზაფხულისათვის ტრესტმა ჰიბრიდული თესლი დამზადა იმ რაოდენობით, რომელიც 100%-ით უზრუნველჰყოფს ჰიბრიდული თესლისაგან მიღებული ჭიის მთელ სამრეწველო გამოკვებას, ნაცვლად მიმდინარე წლის 55%-ისა. ჰიბრიდული თესლის დამზადების საქმეში საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა მესამე ხუთწლედის დავალება.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ა. რამიშვილი

საქართველოს აბრეშუმის ტრესტის დირექტორი.

რაჭიმ ჩამორჩა დიდჭყონის საბჭოთა მეურნეობა ჩაის კრეფაში

(ბეგეშკორი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ბეგეშკორის რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და პლანტაციების მოვლა - პატრონობის საქმეში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ივლისში მეურნეობამ ქვეყანას დააკლო 20 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. საჭირო იყო, რომ მეურნეობის დირექციას ამ ფაქტიდან გამოეტანა სათანადო დასკვნა, მიეღო გადამჭრელი ზომები სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მაგრამ ასე არ მოხდა. ჩამორჩენა აგვისტოში კიდევ მეტად გაღრმავდა. ივლისის დანაკლისის ჩათვლით აგვისტოში მეურნეობამ უნდა მოჰკრიფოს 190.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა დღიურად დაახლოებით 12 ათასი კილოგრამი ფოთოლი იკრიფებოდეს, სინამდვილეში კი კრეფის ტემპები ძალიან დაბალია. მაგალითად, 9 აგვისტოს მოჰკრიფეს 4.624 კილოგრამი, 12 აგვისტოს—2.981; 13 აგვისტოს—1.123 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ასე გრძელდება დღემდე. 15 აგვისტოსათვის საბჭოთა მეურნეობას ჩაის კრეფის აგვისტოს გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 22,7 პროცენტით.

შეუწყნარებლად ირღვევა პლანტაციების დამუშავებისა და მინერალური სასუქის შეტანის ვადებიც. 576 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მესამედ გათოხნილია მხოლოდ 22 ჰექტარი, დაუმთავრებელია პლანტაციებში აზოტის შეტანა და სხვ., მაშინ როდესაც ეს სამუშაოები ჯერ კიდევ 15 ივლისისათვის უნდა შეესრულებინათ. უყურადღებოდ მიტოვებული პლანტაციები სარეველა ბალახით არის დაფარული.

მეურნეობის დირექტორი ამხ. ილია ქვარაცხელია და უფროსი აგრონომი ამხ. გ. რამიშვილი ამ მდგომარეობას უმთნდობით, ფოთლის სიმცირისა და მუშა-ხელის ნაკლებობით ხსნიან. მაგრამ ეს სწორი არ არის. ჩაის მწვანე ფოთოლი მეურნეობაში ყოველთვის ბევრი იყო, იგი ახლაც მოზღვავებულია. კარგი ამინდებიც საკმაო იყო.

რაც შეეხება მუშა-ხელს, მის ნაკლებობას მართლაც განიცდის მეურნეობა. ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას. ეს იმიტომ არის, რომ აქ ყოველმხრივ არ ზრუნავენ მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მაგალითად, სასადილოში კერძები დაბალი ხარისხისა მზადდება და იყიდება მაღალ ფასებში. ჭიანურდება ხელფასების გაცემა. ივლისის მეორე ნახევრის ხელფასი 200-მდე მკრეფავ ქალს 15 აგვისტოსაც არ ჰქონდა მიღებული. ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშებს ივნისის შემდეგ ხელფასი დღემდე არ მიუღიათ.

რაიონის კოლმეურნეობებში ჭარბი მუშა-ხელი ბლომადაა, მაგრამ მეურნეობამ და რაიონის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხეს მათი ორგანიზებულად შეგროვება, ისე რომ ერთი ან ორი თვით მაინც დარჩენილიყვნენ კოლმეურნეები მეურნეობაში სამუშაოდ.

სამარცხვინო ჩამორჩენის ერთერთი უმთავრესი მიზეზი ისიც არის, რომ მეურნეობაში ჩაშლილია მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. მუშების დიდი უმრავლესობა მეურნეობაში რუსი ამხანაგებია. პარტორგანიზაციის მიერ რუს ამხანაგებთან სამუშაოდ გამოყოფილია 17 აგიტატორი, მათგან 15 რუსული ენის უცოდინარია. გასაგებია, თუ რა აგიტაციას გასწევენ ენის უცოდინარი ადამიანები მუშებთან. რუსულ ენაზე არ ტარდება ლექციები და მოხსენებები. მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია რატომღაც ეგუება ამ მდგომარეობას. მეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. ესართია ამ გახურებული მუშაობის დროს შვებულებაში წავიდა.

დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობას ესაჭიროება სასწრაფო დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაის კრეფის და სხვა სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის.

ტ. ჩიქოვანი

შორეულ აღმოსავლეთისა და გელორუსიის კოლმეურნეთა შეჯიბრება

16 აგვისტოს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოხდა შორეულ-აღმოსავლეთისა და ბელორუსიის სსრ კოლმეურნეთა შეხვედრა, რაც საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის აშკარა დემონსტრაციად გადაიქცა. ამ შეხვედრის დროს გამოფენის დაახლოებით 400 მონაწილემ—ჩვენი ქვეყნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის სანაპირო რაიონების წარჩინებულმა ადამიანებმა — საბოლოოდ დაამტკიცა და ხელი მოაწერა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საუკეთესო თავდაცვითი მუშაობისათვის. (საკდესი).

ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია

წყალტუბოს რაიონმა 18 აგვისტოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 184.687 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 184.240 კილოგრამისა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიონის მდივანი ტოგონიძე

პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

სამტრედიის რაიონმა 20 აგვისტოსათვის მეორე გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 178 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 37,5 ტონა აბრეშუმის პარკი, ნაცვლად 21-სა.

პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიონის მდივანი კოკაია

ქარაფუილი „ნაადრევი ვარდი"

ბოლნისი, (საქდესი). მიმდინარე წლის გაზაფხულზე ბორჩალოს რაიონში პირველად დასთესა „ნაადრევი ვარდის" ჯიშის ქარტოფილი მარნეულის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ. ქარტოფილის საცდელმა ამოღებამ გამოამჟღავნა, რომ კოლმეურნეობა ჰექტარზე 300-ზე მეტ ცენტნერ ქარტოფილს აიღებს. ადგილობრივი ჯიშების ქარტოფილი ჰექტარზე 150-160 ცენტნერს იძლევა.

„ნაადრევი ვარდის" ჯიშის ქარტოფილის თესლი მიღებულია ლენინგრადიდან. რაიონის კოლმეურნენი, რომლებიც აქამდე „ნაადრევი ვარდის" ჯიშის ქარტოფილის თესლს ერიდებოდნენ, ახლა დიდი მონდომებით იძენენ მას.

ერთპიროვნული მეურნეები შედიან კოლმეურნეობებში

(ბოლნისი, საქ. კორესპონდენტისაგან)

„კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საბჭომსაბჭოს ჰიმდინარე წლის 27 მაისის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ ბორჯომის რაიონში საგრძნობლად გაიზარდა ერთპიროვნულ მეურნეთა სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ. სოფ. ციხისჯვრის კოლმეურნეობა „ნეაზოისს" („ახალი ცხოვრება") 8 ახალი წევრი შეემატა, სოფ. ვერელის 12 დეკემბრის სახელობის კოლმეურნეობას — 9, სოფ. ბანისხევისას — 13 და ა. შ. სულ კი რაიონის კოლმეურნეობებს მოკლე ხნის განმავლობაში 60-მდე ახალი წევრი შეემატა.

სოფ. ბანისხევის კოლმეურნეობაში ახალმიღებულნი ლ. გელაშვილი, ეფრემ, ილიკო და დათიკო გოგოლაძეები, არჩილ და ლადო სტეფნაძეები და სხვები ენერგიულად მუშაობენ.

გრ. ლომიძე

გამოფენის მონაწილენი უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს

(ბათუმი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე 16 აგვისტოს დიდი ყურადღებითა და ინტერესით ისმენდნენ ხ. გორგილაძის და ა. ვარსანიძის მოხსენებას სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე მოპოვება ჩვენმა დიდმა ქვეყანამ სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში, ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ მომავალში, და მოგვიწოდა ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

ამხანაგ მოლოტოვის თვითეული სიტყვა ჩვენში დიდ სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევდა, ხშირად ეს სიტყვები დამსწრეების მჭეხარე ტაშით იფარებოდა.

ამხანაგმა მოლოტოვმა გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. ჩვენ საქართველოს პავილიონისაკენ გავეშურეთ. კარებში ლენტი იყო გაბმული, ეს ლენტი სსრ კავშირის დეპუტატმა ორდენოსანმა **აიშე გურგენიძემ** გასჭრა. ისეთი ლამაზი და მშვენიერია საქართველოს პავილიონი, რომ სიტყვებით ვერ გამომითქვამს. აქ ჩვენ ვნახეთ ჩაის პლანტაცია, იგი ისეთი კარგი იყო, რომ ჩვენი ბრიგადის პლანტაციიდან ვერ გამოვარჩევდით, ჩაის ფოთოლი საკრეფად იყო მოსული. აიშე გურგენიძემ უკრაინისა და სხვა რესპუბლიკიდან მოსული სტუმრების თვალწინ დაიწყო ჩაის კრეფა და აუხსნა მათ კრეფის წესები. ჩაის კრეფას ყველა გულმოდგინედ უყურებდა. აჭარიდან გაგზავნილი იყო ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ხეები, რომლებსაც საუკეთესოდ ასხიათ. სათბურებში მოთავსებული ლიმონი დამწიფებულიყო.

დავათვალიერეთ აზერბაიჯანის პავილიონი, რომელიც ჩვენს პავილიონთან ახლოს არის მოთავსებული. აქ შე პირველად ვნახე ბამბის პლანტაცია. საერთოდ ეს პლანტაცია საინტერესოდ არის მოწყობილი.

ჩვენს კოლმეურნეობაში, როგორც იცით, კარგი ღომონია, მე მეგონა ამაზე უკეთესს ვერსად ვერ ვნახავდი, მაგრამ აზერბაიჯანის პავილიონში ვნახე ღომონის ხეები, რომლის სამი ცალი ნაყოფი ორ კილოგრამზე მეტს იწონიდა.

ჩვენ დაწერილებით გველაპარაკნენ ღომონის ამ ჯიშზე. კარგი იქნება, თუ ჩვენც ღომონის ასეთ ჯიშს მოვიშენებთ.

ლამაზია უკრაინის სსრ პავილიონი. აქ ყველაზე ძალიან მოგვეწონა პურის, შაქრის, ჭარხლისა და მეცხოველეობის დარგები. უკრაინიდან გამოფენაზე ისეთი ძროხები ჩამოეყვანათ, რომლებიც დღეში 60-70 ლიტრ რძეს იძლევიან.

საინტერესო სანახავია მეფრინველეობა, ვნახე ისეთი მოწყობილობა, რომელიც, როგორც გადმოგვცეს, დღეში 10.000 წიწილას ჩეკავს, ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ იჩეკე ბოდნენ წიწილები.

— სიტყვები არ მყოფნის, რომ ყველაფერი გითხრათ, რაც ჩვენ გამოფენაზე ვნახეთ. მაშ, კიდევ უფრო კარგად ვიმუშაოთ, რომ 1940 წელს მთლიანად კოლმეურნეობამ მიიღოს მონაწილეობა გამოფენაში.

გაუმარჯოს ჩვენი შეძლებული და საამური ცხოვრების შემომქმედს, მშობლიურ დიდ **სტალინს. (მჭუხარეა).**

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს **ახმედ ვარსანიძეს**, მოწინავე სტახანოველს, პარტიის წევრს, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც 15 აგვისტოს დაბრუნდა მოსკოვიდან.

— ამხანაგებო! როგორც თქვენ იცით, გამოფენის მონაწილეთა მეორე ჯგუფს გავყევი აჭარიდან. გამოფენის გახსნას არ დავსწრებივარ, მაგრამ მოსკოვში ჩასვლისას ვიგრძენი გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა. ყველა ლაპარაკობდა იმ ამოცანებზე, რომელიც ამხანაგმა მოლოტოვმა თავის შესანიშნავ სიტყვაში სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა. გამოფენა ძალიან საინტერესოდ არის მოწყობილი, აქ წარმოდგენილია ყველაფერი ის, რაც ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში შეიქმნა ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი მამისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

როდესაც ათვალიერებთ ცალკეულ პავილიონებს, გინდათ ისევ დაუბრუნდეთ და ხელახლა დაათვალიეროთ. გამოფენა გამოცდილების დიდი სკოლაა. შედიხართ თუ არა გამოფენის ეზოში, თვალში გეცემათ ქალისა და კაცის ფიგურა ჩაქუჩით და ნამგლით ხელში, მისი სიმაღლე 50 მეტრს უდრის. ამაზე უმშვენიერესი რამე არ მინახავს. გამოფენა, როგორც გადმომცეს, 136 ჰექტარს აღწევს. მთელი ეს ტერიტორია დაფარულია ნაგებობებით, ყვავილნარებით, საუკეთესო ქუჩებით და მოედნებით.

როდესაც გამოფენას ათვალიერებთ, ხალხად ხედავთ, თუ რას იძლევიან ჩვენი მომძე რესპუბლიკები, რა წარმატება აქვთ მათ სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში, რწმუნდებით ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის სიმდიდრესა და სიძლიერეში.

დავათვალიერეთ მანქანათა პავილიონი, სადაც სხვადასხვა სახის მანქანებია. ვნახეთ იმდენი მანქანა, რომ კაცი ვერ დასთვლის. ვნახეთ უზარმაზარი კომბაინები, ვნახეთ დიდძალი ტრაქტორები, სალეწი მანქანები, ავტომობილები.

გამოფენაზე არის ბრინჯის საუკეთესო ყანები 3 მეტრის სიმაღლისა. ვნახეთ ისეთი პამიდორი, რომ თვითეული ძირი 4 კილო ნაყოფს ისხამდა. როგორ მიიღეს ასეთი უხვი და ბარაქიანი მოსავალი? მე დაწერილებით გამოკითხე; ყველაფერი აგვიხსნეს, გვითხრეს — თვითეულ ძირს ნაკელს ვაძლევთ, დროზე ვამუშავებთ, დროზე ვკრეფავთო. ეს პამიდორი სულ სხვა ჯიშისაა. ჩვენი დაკვირვებით, ასეთი ჯიშის პამიდორი ჩვენში საუკეთესოდ ივარგებს, ძალიან კარგი იქნება ჩვენმა კოლმეურნეობამ მომავალ წელს ასეთი თესლი გამოიწეროს.

გამოფენაზე საერთოდ ბევრი ბოსტნეული იყო, კიტრი ახლაც იკრიფებოდა, სათბურში დათესილი კიტრი ვნახეთ, რომელიც 5-6 კილოგრამს იწონიდა.

მეცხოველეობის განყოფილებაში ნახავთ ისეთ ძროხებს, რომლებიც იძლევიან წლიურად 8.000-12.000 ლიტრ რძეს. ვნახეთ ისეთი ბუღა, რომელიც 1.240 კილოგრამს იწონის.

როდესაც ამხ. ვარსანიძემ მოხსენება დაამთავრა, მას ყოველი მხრიდან შეკითხვები მისცეს.

მომხსენებელი შეკითხვებზე აძლევს ამომწურავ პასუხს, რაც კოლმეურნეობაში დიდ კმაყოფილებასა და აღფრთოვანებას იწვევს.

კრების შედეგები შეაჯამა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სულეიმან ვარსანიძემ. მან მოუწოდა კოლმეურნეებს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური მოძრაობა, იბრძოლონ იმისათვის, რომ 1940 წელს მოიპოვონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

საერთო კრებამ დაავალა კოლმეურნეობის გამგეობას გამოფენიდან დაბრუნებულ მონაწილეებთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მოწინავეთა გამოცდილების მტკიცედ დანერგვას კოლმეურნეობაში, და ღონისძიებანი დასამტკიცებლად წარუდგინონ საერთო კრებას.

ტ. აცანელი

საქართველოს ნორჩი ნავუარაღისტები გაემგზავრნენ გამოფენაზე

19 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაემგზავრა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 57 ნორჩი ნატურალისტი.

ლანჩხუთის რაიონიდან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაემგზავრნენ ძმები ჰიჰიკო და გიორგი მითაიშვილები, მიხეილ სარჯველაძე, კაკო და ელიზა ჭანტურიები, ავთანდილ მორჩილაძე და დავით ჯაჯიეიშვილი. წინასწარ გამოფენაზე გაგზავნილ იქნა ძმების მითაიშვილების მიერ გაზრდილი და სანიმუშოდ მოვლილი ღომონის, მანდარინის, ფორთოხლის, გრეიპფრუტისა და პეკანის ხეები, აგრეთვე მიხეილ სარჯველაძის მიერ გაზრდილი 1.100 ნაყოფიანი ღომონის ხე.

ციტრუსების მყნობაში სახელი გაითქვა ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის მცხოვრებმა 14 წლის ხოთო გვასალიამ. ის იმდენად დახელოვნებულია მყნობის საქმეში, რომ უზრუნველჰყო 95 პროცენტის გაბარება. ხოთო გვასალიას დღემდე დამყნილი აქვს 20.000 ძირი ციტრუსი.

აღსანიშნავია ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხის ნორჩი ნატურალისტის ვალოდია გობეჩიას ნაყოფიერი მუშაობა. ის ეხმარება კოლმეურნეობას ძვირფასი კულტურების მოვლაში და ყოველწლიურად ამყნობს 5.000-ზე მეტ ნერგს. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ნორჩმა ნატურალისტმა ეთერი შულაიამ. მან საკარმიდამო ნაკვეთზე სამი წლის წინათ დარგული გრეიპფრუტის ხეს შეუნარჩუნა 30 ცალზე მეტი ნაყოფი.

კარგი წარმატებები გვიჩვენა აბაშის რაიონის არტელ „შრომის" ნორჩმა ნატურალისტმა თამარ კუციამ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილია მის მიერ გაზრდილი იაპონური ხურმის ხე, რომელიც ყოველწლიურად 2.000-ზე მეტ ნაყოფს იძლევა. ამავე რაიონიდან გამოფენაში მონაწილეობისათვის მოსკოვს გაიგზავნა აბაშის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე ნორჩი ნატურალისტი დარეჯან ჯოჯუა, რომელმაც აგროწესების ზუსტად გატარებით საუკეთესოდ გაზარდა ლიმონისა და მანდარინის ხეები. პირველ წელს, მანდარინის მცენარეს შეუნარჩუნა 600 ნაყოფი, ლიმონისას კი — 60 ნაყოფი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ნორჩი ნატურალისტები გაიგზავნენ აგრეთვე ქუთაისის, მახარაძის, გორის, სამხრეთ-ოსეთისა და სხვა რაიონებიდან.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის გამარჯვებებით აღფრთოვანებული

სიღნაღი, 19 აგვისტო (საქდესი). ხარისის **ბერიას** სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გულმხურვალე შეხვედრა მოუწყო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნებულ ამხანაგებს. ჩამოსულებმა გაუზიარეს დამსწრეთ გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებანი და დიდი აღტაცებით უამბეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის იმ უდიდეს გამარჯვებებზე, რომლებიც მათ საკუთარი თვალით ნახეს.

წაამბობმა უდიდესი აღფრთოვანება და შრომის ენტუზიაზმის ახალი აღმავლობა გამოიწვია მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს შორის. მეურნეობის უბნებმა ერთიერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. ხარისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა, სანიმუშოდ მოემზადოს ყურძნის მოსავლის ასაღებად და თვითეულ ჰექტარზე აიღოს 90 ცენტნერი ყურძენი, 1 სექტემბრამდე დაამთავროს 40 ათასი დეკალიტრის ტევადობის მარანის მშენებლობა და იბრძოლოს იმისათვის, რომ მოიპოვოს 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება.

ნაკისრ ვალდებულებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის ხარისის მეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წინანდლის საბჭოთა მეურნეობა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ხურათზე: ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი.

საკდესის ფოტოკორონკა.

ახალი მიუნხენის ცდა

(„პრავდის" ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 17 აგვისტო.*) როგორც „დეილი უორკერი" 7 აგვისტოს ნომერში იუწყება, ინგლისისა და გერმანიის მთავრობები ამჟამად იხილავენ ჰიტლერისათვის ინგლისის მთავრობის მიერ მიცემულ წინადადებას, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიუღებლად მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს კონფერენცია იმის განსახილველად, თუ რა საშუალებებით უნდა იქნას დაკმაყოფილებული ჰიტლერის მოთხოვნა გერმანიისადმი დანკიგის შეერთების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ვაშინგტონში ფარულად სინჯავდნენ ნიადაგს, რათა გამოერკვიათ, შეიძლება თუ არა რუზველტისა და ჰელის გადაბირება, რომ მათ ეს გეგმა მოეწონებინათ. ამ საქმეში ჩემბერლენსა და გერმანიის მთავრობას შორის შუამავალია ლორდ კემსლი — თამეჯდომარე საგაზეთო გაერთიანებისა, რომელშიც შედის გაზეთები: „სენდეი ტაიმსი", „სენდეი გრაფიკი", „დეილი სკეტჩი", „ვესტერნ მეილი" და სხვები. მისი ძმა ლორდ კემროზი გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" პატრონია.

ლორდ კემსლი ეს-ეს არის დაბრუნდა ბერლინიდან. ბერლინში გამგზავრების წინ მას შეხვედრა ჰქონდა ჩემბერლენთან. ამ შეხვედრის დროს ჩემბერლენმა მას გააცნო თავისი შეხედულება საერთაშორისო ვითარებაზე და თავისი აზრი იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარდეს. ლონდონში დაბრუნებისთანავე ლორდ კემსლი კვლავ შეხვდა ჩემბერლენს და გაუზიარა მას თავისი აზრი გერმანიის მთავრობის პოზიციის შესახებ. ყოველივე ეს ხდებოდა პარლამენტის ზურგსუკან, რომელიც ჩემბერლენის დაჟინებითი მოთხოვნით დათხოვნილ იქნა, და თვით ჩემბერლენის ზოგიერთი მრჩეველის ზურგსუკანაც კი.

გეგმა, როგორც იგი ამჟამად ისახება, ითვალისწინებს შემდეგს: უახლესი ორი-სამი კვირის განმავლობაში გერმანიის მთავრობა განზრახ გაამწვავებს დაძაბულ მდგომარეობას ჩეხოსლოვაკიასთან. 21 აგვისტოსათვის მოელიან, რომ ჰიტლერი მიმართავს მუნხენის ცდას. ამ ცდის დროს ჰიტლერი მოითხოვს, რომ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ნაწილი გადაეცეს გერმანიას. ამ ნაწილში ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ჩაატარებს ხალხის რაოდენობრივ აღწერას. ამ ნაწილის მოსახლეობის ნახევარზე მეტი გერმანელი უნდა აღმოჩნდეს, ამხანაგ კაიშაურის წარდგინებით ამ ნაწილის მოსახლეობა ჩაითვლება გერმანელად. ამის შემდეგ ჰიტლერი მოითხოვს, რომ ეს

აგიტატორთა თათბირი ცხაკაიას რაიონში

ბოლშევიკურად მოვაწყოთ სააგიტაციო მუშაობა

აგიტაჭორთა თათბირზე

(„ქომუნისტის“ სპეც. ქოკ.)

თავისი ფორმით ეს თათბირი არ იყო ჩვეულებრივი... არცერთი ოფიციალური მომხსენებელი; თათბირს ესწრებოდნენ რაიონის აგიტატორები, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები, პარტორგანიზაციის მდივნები; ისინი მოუთხრობდნენ თათბირს იმ დიდი გამოცდილების შესახებ, რომელიც მიიღეს მათ სხკ. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს, იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ისინი ახლა ატარებენ მოსახლეობაში.

რა გვიჩვენა ამ თათბირმა, რა ძირითადი ნაკლი ახასიათებს ცხაკაიას რაიონში სააგიტაციო მუშაობას?

მთავარი, რაც თვალში გეცემა, ეს არის ის, რომ საერთოდ რაიონში ნაკლებად სწავლობენ სააგიტაციო მუშაობის გამოცდილებას, არ ამოწმებენ თვით აგიტატორების მუშაობას. სწორედ ამის შესახებ სჩიოდნენ ამ თათბირზე დამსწრენი. აგიტატორმა ამხ. ოდიშარიამ (ნოსირი) თათბირზე განაცხადა:

— მთელი გატაცებით ვმუშაობ, მიყვარს სააგიტაციო მუშაობა, მაგრამ არ ვიცი როგორ ვმუშაობ — ყარგია ჩემი მუშაობა თუ ცუდი. საუბრებზე არცერთხელ არ დასწრებია არავინ, არც რაიკომიდან, არც პირველადი პარტორგანიზაციიდან, არც ის ვიცი, თუ როგორ უნდა ჩავატარო საუბარი ინდივიდუალურ მეურნეებთან.

ამ მდგომარეობაში განა მარტო ამხ. ოდიშარიაა! უმრავლესობა აგიტატორებისა თავის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მოსალოდნელი იყო, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ინსტრუქტორები ჯანჯღავა და ლ. ხვიჩია, რომლებიც სიტყვებით გამოვიდნენ, იტყოდნენ სწორედ ამ დახმარებაზე და კონტროლზე აგიტატორების მიმართ; მათ ყველაფერზე ილაპარაკეს, მაგრამ არა იმაზე, თუ რა დახმარებას უწევენ ისინი აგიტატორებს, პირველადს პარტორგანიზაციებს სააგიტაციო მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის.

სააგიტაციო მუშაობის გამოცდილების სისტემატური შემოწმება და განზოგადება — აი რას მოითხოვდნენ ამ თათბირზე აგიტატორები.

რაიონს არა ჰყავს აგიტატორთა საკმაო რაოდენობა, აგიტატორები თავიანთ სიტყვებში უჩიოდნენ იმას, რომ ისინი ერთდროულად რამდენიმე ბრიგადაზე არიან მიმაგრებული და ამიტომ ვერ ასწრებენ ყველგან სააგიტაციო მუშაობის ჩატარებას. ეს იმითაც აიხსნება, რომ რაიონში სააგიტაციო მუშაობა შესუსტდა, ნაწილობრივ დაიფანტა აგიტატორთა ძველი კადრი.

ბევრ აგიტატორს ჯერ არ დაუწყია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების განმარტება (სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.).

თათბირზე გამოირკვა აგრეთვე, რომ რაიონის ზოგიერთი სოფლის საბჭო სუსტად ემზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის, დეპუტატთა ანგარიშები უფერულად ტარდება, გაშლილი არ არის ნამდვილი კრიტიკა და თვითკრიტიკა; შხეფის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბაკურაძემ, რომელიც სიტყვით გამოვიდა, ვერაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება სოფლის საბჭო არჩევნებისათვის, მან ისიც კი არ იცის, აქვს თუ არა მას განწესი.

თათბირზე საერთოდ არაფერი თქმულა რაიონული გაზეთის „ავანგარდის“ მუშაობაზე, რომელიც სუსტად აშუქებს არჩევნებისათვის მზადების საკითხებს.

თათბირმა ძვირფასი მასალა მისცა რაიონის პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს; აგიტატორებთან საუბარი, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ინიციატივით ჩატარდა, უსათუოდ მძლავრი ბიძგი იქნება რაიონში სააგიტაციო მუშაობის გამოცოცხლების საქმეში. საჭიროა ეს მასალები განხილულ იქნას რაიკომის ბიუროს სხდომაზე და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნას საჭირო ზომები. საერთოდ კი რაიკომის ბიუროს არცერთი სხდომა არ უნდა ტარდებოდეს ისე, რომ განხილული არ იქნეს მოსახლეობაში, კოლმეურნეობაში, ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში აგიტაციის მდგომარეობის საკითხი, ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის საკითხი.

აგიტატორი საკოლმეურნეო მინდვრებზე

ჩემის აზრით ზოგიერთ აგიტატორს არასწორი შეხედულება შეუმუშავდა აგიტაციის ფორმებზე; ისინი ასე ფიქრობენ: მათს საუბარს აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მრავალრიცხოვანი აუდიტორია, წინასწარ უნდა იყოს დანიშნული აგიტაციის დღე და ადგილი. ამიტომაც ისინი უცდიან აუდიტორიის შერჩევასაც, ხალხის მოსვლასაც.

აგიტაცია უნდა ხდებოდეს სისტემატურად და ყველგან, აგიტატორმა აგიტაციისათვის უნდა გამოიყენოს ყოველი შემთხვევა—პირადი საუბარიც, 2-3 კაცის ჯგუფად თავმოყრაც და სხვ. პირადად მე საუბარს ვატარებ იქ, სადაც უშუალოდ ვრიგადა მუშაობს, საკოლმეურნეო მინდვრებზე. მიმაგრებული ვარ 8 ბრიგადაზე, აქედან 4 ქალთა ბრიგადაა.

ზამთრის პერიოდში ან წვიმიან დღეებში კოლმეურნეებს ხშირად შეხვდებით ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილს კოლმეურნეობის გამგეობაში, ან ერთი-მეორის სახლში მიდიან სასაუბროდ. მე, როგორც აგიტატორი, ამ შემთხვევას ვიყენებ. ჩემი მისვლა, სადაც არ უნდა იყოს, კოლმეურნეებს ყოველთვის აინტერესებთ; „აბა, რას გვეტყვი ახალს?“ —მომმართავენ ხოლმე ისინი პირველ შეხვედრისთანავე. აგიტატორს კოლმეურნე უნდა უყურებდეს როგორც თავის მეგობარს. ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ აგიტატორი ყოველთვის არ არის „ოფიციალური“, არამედ დაინტერესებულია თვითეული კოლმეურნის ცხოვრების ყოველი წვრილმანით, როდესაც აგიტატორი კი არ იცდის, უ როდის მოვლენ მასთან, არამედ როდესაც თვით არის საქმის ორგანიზატორი, როცა თვით არის დაინტერესებული.

ძლიერ გაიზარდა კოლმეურნეთა ცნობისმოყვარეობა. მათ აინტერესებთ იცოდნენ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, რა ხდება საზღვარგარეთ. ამიტომ ბუგატატორს უპირველეს ყოვლისა ცოდნა მოეთხოვება, ის უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ კოლმეურნეობებში უდიდესი საწარმოო აღტყინება გამოიწვია. ეს დადგენილება საფუძვლიანად გავაცანი თვითეულ კოლმეურნეს, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა შრომის დისციპლინა, ჩაის კრეფის გეგმაც დიდი გადაჭარბებით სრულდება.

ახლოვდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ეს მომენტი კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ—აგიტატორებს. მიზნად დავისახე არ დამრჩეს არცერთი კაცი ჩემს ბრიგადაში, რომელსაც საარჩევნო დებულება კარგად არ ესმოდინება. ამ საქმეს დიდი ხალისით ვეკიდები. 2 ბრიგადაში უკვე დავიწყე დებულების განმარტება, განვმარტე დებულების I და II თავი. პირადად მე ხელახლა დავიწყე სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესწავლა, რომ შევძლო მათი დაკავშირება საარჩევნო დებულებასთან.

მინდა ჩემი მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვანებაზე შევჩერდე. როგორც აღვნიშნე, მომაგრებული ვარ 8 ბრიგადაზე. ბრიგადები ზაფხულის პერიოდში მინდვრად მუშაობენ და ამასთან ერთად დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებული. ეს მდგომარეობა მე მრთულებს მუშაობას; ამიტომ ჩვენს სოფელში აგიტატორთა რიცხვი უნდა გადიდდეს, ამის შესაძლებლობა არის. თვით ბრიგადებშიაც მოიპოვებიან კარგი აგიტატორები. გარდა ამისა, ჩვენი სოფლის ყველა მასწავლებელი რადია გამოყენებული აგიტატორად.

ჩვენ, აგიტატორებს, გვინდა დახმარება, ხშირად კი გვივიწყებენ. აგიტატორთა თათბირებს ამ მხრივ კარგი შედეგები შეუძლია გამოიღოს, ბევრ რამეს ისწავლის და გაიგებს აქ აგიტატორი. გარდა ამისა, საჭიროა სპეციალურად აგიტატორებისათვის ჩვენს რაიონში მოეწყოს მოხსენებები, მოეწყოს აგიტატორთა მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები საბჭოების აღგილობრივი და საკავშირებო საარჩევნო დებულებასთან.

ლუბა ზარანდია
მასწავლებელი

სოფ. ზანა.

უკეთ ვუხელმძღვანელოთ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას

შ. ჩიქობავა
საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი.

მშრომელთა ის დიდი ინტერესი, რომელსაც ისინი იჩენენ ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის საკითხებისადმი, მოითხოვს აგიტატორებისაგან თავისი იდეური დონის ამაღლებას, სააგიტაციო მუშაობაში დახელოვნებას. აგიტატორებს უნდა შეეძლოთ ცხადად და გასაგებად უპასუხონ ყველა იმ კითხვაზე, რომელიც აინტერესებს მოსახლეობას. ხოლო პარტიული ორგანოების ვალდებულებაა ყოველდღიურად უხელმძღვანელოს აგიტატორთა არმიას, დაეხმაროს მას პოლიტიკის რთული საკითხების გარკვევაში.

სააგიტაციო მუშაობის მდიდარი გამოცდილება გვაქვს დაგროვილი. სსრკ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს ამომრჩეველთა დიდი პოლიტიკური აქტივობა და სტალინური ბლოკის ტრიუმფალური გამარჯვება შედეგი იყო იმისა, რომ ჩვენ მაშინ კარგად გვქონდა დაყენებული სააგიტაციო მუშაობა. მრავალფეროვანი იყო თვით სააგიტაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები: ექსკურსიები, ინდივიდუალური საუბრები, შეკითხვების შეგროვება, გაზეთების კითხვა და სხვ. აგიტატორები მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი ამომრჩევლებთან, იცოდნენ მათი მოთხოვნილებები.

ამჟამად ჩვენს რაიონში მუშაობს 26 აგიტკოლექტივი. ისინი აერთიანებენ 579 აგიტატორს. ეს აგიტატორები დღესაც დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან. ჩვენ გვყავს ისეთი აგიტატორები, რომლებსაც სააგიტაციო მუშაობა არ შეუწყვეტიათ უმაღლესი საბჭოების არჩევნების შემდეგაც. ასე, მაგალითად, აგიტატორი ნ. შელეგია (ნოქალაქევი) სსრკ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს ერთერთი საუკეთესო მოწინავე აგიტატორი იყო, მან დღეს მუშაობა უფრო გააღრმავა, სისტემატურად დადის ყოფილ საარჩევნო უბანში, მიმზიდველად ატარებს ყოველ საუბარს. მოწინავე აგიტატორებია აგრეთვე გვათუა (ძველი-სენაკი), ბესელია (ნოსირი), კვეტანიძე (ნოქალაქევი) და სხვ.

პარტიული ორგანიზაციებიდან, რომლებიც სისტემატურად ხელმძღვანელობენ სააგიტაციო მუშაობას, უნდა აღინიშნოს ძველი-სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია. აქ სააგიტაციო მუშაობას პარტიული ორგანიზაცია კარგად ხელმძღვანელობს. ამოწმებენ აგიტატორების მუშაობას, ისმენენ მათ მოხსენებებს, აგიტატორებს აძლევენ მითითებას, თუ რაზე გაამახვილონ ყურადღება და სხვ. იგივე შეიძლება ითქვას ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტორგანიზაციაზე.

ჩვენს რაიონში საკმაო მუშაობა ჩატარდა და ტარდება პარტიის XVIII ყრილობის მასალების, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილების, სსრკ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების დადგენილებათა პროპაგანდა-აგიტაციისათვის. ამ მუშაობის ჩატარებაში ჩვენ ჩავაბით რაიონის ინტელიგენცია — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვ.

ჩვენს რაიონში ცოტა როდია ისეთი აგიტატორი, რომელიც საბაგიტაციო მუშაობას უკავშირებს თავისი კოლმეურნეობის თუ ქარხნის საწარმოო ცხოვრებას, იძლევა სიგნალებს ცალკეულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა შესახებ. მაგრამ ამასთან ერთად არის ისეთი აგიტატორი, რომელიც აგიტაციას „ეწევა“ საერთოდ. ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში აგიტატორმა კინწრარიშვილმა არ იცის რა ხდება კოლმეურნეობაში, რა საკითხები აინტერესებთ კოლმეურნეებს, როგორია მათი გეგმები და სხვ.

ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აგიტატორთა არმიას, დაეხმაროს მას პოლიტიკის რთული საკითხების გარკვევაში.

სსრკ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შემდეგ უნდა ითქვას, რომ ჩვენს რაიონში სააგიტაციო მუშაობა შესუსტდა. ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ აგიტატორთა რიცხვი შემცირდა, ჩვენი უყურადღებობით ისინი დაიფანტნენ. წინა არჩევნების პერიოდში ჩვენ უკეთ გვქონდა დაყენებული კონტროლი აგიტაციის ხარისხზე. დღემდე ჩვენ ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რამდენი აგიტატორი გვყავს, არამედ ისიც, თუ როგორ ეწევიან ისინი აგიტაციას, როგორ მარტავენ ამა თუ იმ საკითხს—ესაა მთავარი. ამ მხრივ ჩვენი პარტკაბინეტიც ვერ გამოიყურება კარგად. ჩვენ არა მარტო უნდა მოვთხოვოთ აგიტატორებს მოვიდნენ აქ, პარტკაბინეტში, არამედ მათთანაც უნდა მივიდეთ, შევამოწმოთ მათი მუშაობა, დავეხმაროთ მათ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების მზადების შესახებ. საჭიროა ეს საკითხი რაიკომის ბიუროზე სისტემატურად ისმებოდეს, ნაკლოვანებანი დროზე სწორდებოდეს. განსაკუთრებით ჩვენ მოგვიხდება შევარჩიოთ აგიტატორთა ახალი კადრები ამ მოკლე ხანში, რადგან აგიტატორები, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვყავს, საკმარისი არ არის. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენს რაიონში ასარჩევი იქნება 400-ზე მეტი დეპუტატი, ასე რომ მომავალი არჩევნები უფრო რთულია. ჩვენი რაიონის ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის საპატიო მოვალეობაა—სანიმუშოდ მოვემზადოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის, სანიმუშოდ დავაყენოთ სააგიტაციო მუშაობა, ვინაიდან ამჟამად საქმის წარმატება სააგიტაციო მუშაობის ბოლშევიკურად დაყენებაზეა დამოკიდებული.

პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ

ქარხანაში თუ კოლმეურნეობაში, წარმოებაში თუ დაწესებულებაში აგიტატორი დიდი ძალაა. პარტიული ორგანიზაცია უმთავრესად მას უნდა ეყრდნობოდეს უმაღლესი ორგანოების დირექტივების ცხოვრებაში გატარებისას.

პარტიული ორგანიზაცია არა მარტო უნდა იყენებდეს აგიტატორს მუშაობაში, არამედ აგრეთვე უნდა ზრდიდეს და ეხმარებოდეს მას. პარტორგანიზაციებს აგიტატორებისათვის დახმარების გაწევის მრავალი ფორმა გააჩნიათ; პირადად მე ჩემირად ვესწრები აგიტატორის საუბრებს, რის შემდეგ მას ვიბარებ პარტბიუროში, ვაძლევ მითითებას, ჯუხსნი, თუ როგორ აწყობებდა ამა თუ იმ საკითხის განმარტება და სხვ. პარტბიუროს სხდომებზედაც ვისმენთ აგიტატორის მოხსენებებს. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე გამოირკვა, რომ აგიტატორები კ. წილოსანი და ა. ქობალავა ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას; მათ არც ეყოდნა უწყობი ხელს. შევცვალეთ ისინი მომზადებული აგიტატორე ბით.

ჩვენ სააგიტაციო მუშაობა არ შეგვიწყვეტია. სსრკ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გავხადეთ. ჩ აგიტატორიდან, რომელიც ჩვენს ქარხანაში მუშაობს, 6 ინდივიდუალურად ეუფლება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას, კითხულობს და სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. აგიტატორმა ჟ. ბესელიამ წაიკითხა ლენინის „რაში არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ - დემოკრატების წინააღმდეგ“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, ლ. კუპრავამ წაიკითხა პლეხანოვის „ჩვენი უთანხმოებანი“ და სხვ. ისინი ადგენენ თავიანთი მუშაობის დღიურსაც.

აგიტატორებს ცოტა წვლილი როდი მიუძღვით იმაში, რომ ჩვენი ქარხანა სისტემატურად ასრულებს საწარმოო გეგმებს. გასული წლის 28 დეკემბრის კანონმა განამტკიცა შრომის დისციპლინა, კიდევ უფრო გაზარდა შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ ქარხანას მხოლოდ 56 სტახანოველი ჰყავდა, დღეს მათი რიცხვი 85 უდრის, გეგმაც 103 პროცენტით სრულდება.

ჩვენს ქარხანაში გამოიზარდნენ ახალი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ სააგიტაციო მუშაობის წარმოება. ჩემის აზრით, მათი გამოყენება შეიძლება ნოსირის ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

ა. გეგეჭკორი
ნოსირის აგურ - კრამიტის ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

საჭიროა დახმარება

1937 წლიდან განუწყვეტელ ვმუშაობ აგიტატორად. უკანასკნელ ხანებში დამაწინაურეს აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობა რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოა; მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელისაგან ბევრი რამ არის დამოკიდებული სააგიტაციო მუშაობის გაშლის მხრივ, მისი იდეური დონის ამაღლების მხრივ. აგიტკოლექტივი თვითეულ აგიტატორს უნდა ზრდიდეს იდეურად, ასწავლიდეს მას საგიტაციო ხელოვნებას.

ჩემს აგიტკოლექტივში გაერთიანებულია 15 აგიტატორი. თვეში სამჯერ ვიწვევ აგიტატორთა თათბირებს. თათბირზე ვიხილავთ ჩვენი ქვეყნის როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო საკითხებს. ცნობილია საერთოდ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სააგიტაციო მუშაობაში ოვალსაჩინო ხელსაწყოების—რუკების, დიაგრამების, ცხრილების გამოყენებას. ჩემს მუშაობაში მათ ფართოდ ვიყენებ. უკანასკნელ ხანებში აგიტკოლექტივის მთელი მუშაობა წარვმართეთ იქითკენ, რათა სანიმუშოდ მოვაწყოთ მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. სააგიტაციო მუშაობის გაძლიერება—წინასწარი პირობაა საბჭოების ადგილობრივი ორგანოების სანიმუშოდ ჩატარებისათვის. აგიტატორთა თათბირზე უკვე განვიხილეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დადგენილებანი. აგიტატორებს მიეცათ ინსტრუქტაჟი იმაზე, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საარჩევნო დებულების გაცნობა მშრომელებისათვის.

აგიტატორებიც გულმოდგინედ შეუდგნენ საარჩევნო დებულების განმარტებას მოსახლეობაში. ამ მხრივ კარგად მუშაობენ ვ. მგელაძე (ზოოტექნიკოსი) და ს. დავითაია (აგროტექნიკოსი). ისინი დებულების შესწავლას უკავშირებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციას, ატარებენ, თუ როგორ ხდება ხელისუფლების „არჩევნები“ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მათი საუბრები მიმზიდველია და ამიტომაც ყოველთვის დიდი ინტერესით უსმენენ. მაგრამ ამასთან ერთად გვყავს სუსტი აგიტატორებიც. აგიტატორი ი. ჩიქობავა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. თუ ამხ. ი. ჩიქობავა შემდეგშიც ასე განაგრძობს, მაშინ პირველადს პარტორგანიზაციას მოუხდება მისი შეცვლა.

აქვე მინდა შევეხო ერთ საკითხს —ეს არის ჩემი მუშაობის შემოწმების საკითხი. მე დიდი ხანი არ არის, რაც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად ვმუშაობ, ამ მხრივ დიდი გამოცდილება როდი მაქვს. ხშირად ვყუყნებ ჩემს თავს კითხვას: სწორად ვმუშაობ თუ არა? მართებულად მესმის თუ არა ჩემი ფუნქციები, ვაძლევ თუ არა საჭირო ინსტრუქტაჟს აგიტატორებს?—აი კითხვები, რომელიც მე მაინტერესებს, მაგრამ პირადად ჩემთვის მათზე პასუხის გაცემა ძნელია. საჭიროა, ჩემის აზრით, რაიკომის ინსტრუქტორები, პარტკაბინეტის მუშაკები დაესწრონ ხოლმე აგიტატორთა თათბირებს, რომელსაც მე ვატარებ, და იქვე მომცენ საჭირო მითითებანი. დღემდე ეს არ კეთდებოდა; ჩემის აზრით კი ეს საჭიროა, მით უმეტეს ამჟამად, საბჭოების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, როცა აგიტატორებს სჭირდებათ ყოველდღიური, საქმიანი დახმარება.

სააგიტაციო მუშაობაში ოპერატულობას დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებები დროზე უნდა იქნას დაყვანილი მასებამდე; ამ საქმეში მცირემნიშვნელოვანი როდია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის ვიღებთ გაზეთებს, საღაც ყმეტესად ქვეყნდება ეს დადგენილებები. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი აგიტატორები გაზეთებს ძლიერ დაგვიანებით იღებენ, მაშინ, როდესაც ამ საქმის მოგვარება შესაძლებელია.

ი. მიქაძე
ჭველი-სენაკის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ცხაკაიას და ყვარლის რაიონული გაზეთების მუშაობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ცხაკაიას რაიონული გაზეთის **„ავანგარდის“** და ყვარლის რაიონული გაზეთის **„ლენინური გზით“**-ის მუშაობის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გაზეთები სუსტად იბრძვიან „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განაივებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის, გაზეთები „ავანგარდი“ და „ლენინური გზით“ საკმაო ბრძოლას არ აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად განხორციელებისათვის, არ ამეულვნებდნენ გაზეთების ფურცლებზე წესდების დარღვევებს.

არადამაკმაყოფილებლად შეიძლება აღნიშნულ გაზეთებში ადგილობრივ პარტორგანიზაციათა ცხოვრება და მუშაობა. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში გაზეთმა „ავანგარდმა“ პარტიული ცხოვრების შესახებ მხოლოდ 30 შენიშვნა მოათავსა, ხოლო ყვარლის რაიონული გაზეთი „ლენინური გზით“ დაქმაყოფილდა 4 პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის ჩვენებით.

იმის გამო, რომ სოფლის ინტელიგენცია და პარტკომკავშირული აქტივი ჩამშლი არ არის აღნიშნული გაზეთების მუშაობაში, „ავანგარდსა“ და „ლენინური გზითს“ ვიწრო თემატიკა აქვთ.

აღნიშნული გაზეთების რედაქციებმა სათანადო დასკვნები არ გააკეთეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებიდან. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიული პროპაგანდის საკითხების გაშუქება. გაზეთმა „ავანგარდმა“ მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი სტატია მოათავსა ერთერთ პირველად ორგანიზაციაში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ და რამდენიმე საკონსულტაციო წერილი. გაზეთი „ლენინური გზით“ ძირითადად კმაყოფილდება მხოლოდ ცენტრალურ გაზეთებში მოთავსებული კონსულტაციების გადაბეჭდვით.

მოწინავე სტატიებს აღნიშნულ გაზეთებში, როგორც წესი, მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ. გაზეთ „ავანგარდის“ 28 ნომრიდან, რომლებიც მიმდინარე წელს გამოვიდა, მოწინავე სტატიები მოთავსებული იყო 15 ნომერში. ასეთივე მდგომარეობაა გაზეთში „ლენინური გზით“.

სავსებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აღნიშნული გაზეთები მუშკორებთან, არ აწარმოებენ მათ აღრიცხვას. 1939 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გაზ. „ავანგარდმა“ მხოლოდ ერთხელ მოიწვია თავის გლეხკორთა თათბირი. გაზეთს „ლენინური გზით“ რაიონის 42 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 6 კოლმეურნეობაში ჰყავს გლეხკორები, რედაქცია მოწყვეტილია კორესპონდენტებს, არ უწევს ხელმძღვანელობასა და დახმარებას ძირეულ საკოლმეურნეო პრესას. გაზეთ „ავანგარდის“ რედაქციის მიერ მიღებული 840 წერილიდან გამოყენებულია მხოლოდ 158 წერილი, დანარჩენი წერილები კი უშედეგოდ არის დატოვებული.

აღნიშნულ ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ პარტიის რაიონული კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ რაიონული გაზეთების მუშაობას. ორი წლის განმავლობაში პარტიის ყვარლის რაიონულ კომიტეტს არცერთხელ არ განუხილავს საკითხი რაიონული გაზეთის მუშაობის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა გაზ. „ავანგარდის“ და „ლენინური გზით“-ის რედაქციებს ისეთნაირად გარდაჰქმნან მუშაობა, რომ გაზეთების ფურცლებზე ფართოდ სჩანდეს ის ღრმა პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ხაკოლმეურნეო სოფელში, სისტემატურად გააშუქონ პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის საკითხები; უზრუნველჰყონ რაიონული პარტკომკავშირული აქტივის, პირველად პარტკომკავშირული ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა ფართო ჭტივის აქტიური მონაწილეობა გაზეთში; სისტემატურად გააშუქონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობისა და ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური - საწარმოო მუშაობის მოწყობის საკითხები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქ. კ. პ. (ბ) ოლქკომებს, ქალაქკომებს და რაიკომებს პერიოდულად მოისმინონ ინფორმაცია გაზეთების რედაქციათა მუშაობის შესახებ.

თბილისის აეროპორტის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ი. ვ. კისელიოვი კონსულტაციას უწევს აეროპორტის მუშაკებს — საკ. კ. პ. (ბ) წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. საქდესის ფოტოქრონიკა.

ახალგაზრდა პატრიოტები შედიან პარტიაში

№ სამხედრო ნაწილში, სადაც პარტბიუროს მდივნად ამხ. ფომენკო მუშაობს, საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტკანდიდატებთან მუშაობა. პარტიის წევრობის ყველა კანდიდატს მიცემული აქვს პარტიული დავალება, პარტორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს პარტდავალებების შესრულებას, ხშირად ეწყობა პარტკანდიდატებისათვის მოხსენებები და საუბრები საერთაშორისო საკითხებზე, პარტიის წესდებისა და პროგრამის გარშემო და სხვ.

პარტკანდიდატი ამხ. ბალაპკინი პარტორგანიზაციამ გამოჰყო პოლიტსწავლების წრის ხელმძღვანელად დანაყოფში, რომელსაც ამხ. პელეპჩუკი მეთაურობს. ამხ. ბალაპკინი კარგად ასრულებს პარტორგანიზაციის დავალებებს, ის მომზადებული ცხადდება პოლიტმეცადინეობაზე, დამუშავებული მასალის უკეთ შეთვისების მიზნით იყენებს რუკებს, დიაგრამებს და საილუსტრაციო მასალებს. ამიტომაა, რომ იმ პოლიტსკოლის მსმენელები, რომელსაც ამხ. ბალაპკინი ხელმძღვანელობს, კარგზე და ფრიადზე ითვისებენ გაკვეთილს. ისინი არა მარტო პოლიტმომზადებაში არიან მოწინავენი, არამედ ასევე კარგ მაჩვენებლებს იძლევიან სამხედრო საქმის დაუფლების საქმეში.

ამხ. ბალაპკინის პოლიტსკოლაში აღიზარდნენ საუკეთესო წვრთნელ-მესაუბრეები და აგიტატორები. ამ პოლიტსკოლის მსმენელები ამხ. კაბანოვი, გოლიკოვი, მაშკოვი, გრიშიუკი, პეისახოვიჩი, ვაგნერი, პრიხოდკო და შირიაევი აგიტატორებად და წამკითხველ-მესაუბრეებად მუშაობენ. ისინი ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მებრძოლთა შორის.

ასევე კარგად ასრულებს პარტიულ დავალებას პარტკანდიდატი ამხ. გ. სიხარულიძე, რომელიც ენერგიული და დაუზარებელი მუშაობისათვის გასულ წელს დაწინაურეს პოლიტხელის მოადგილედ. ამხ. სიხარულიძე პარტორგანიზაციამ მიამაგრა კომკავშირის ორგანიზაციაზე იმ დანაყოფში, რომელსაც ამხ. ძამაშვილი მეთაურობს. კომკავშირის ამ ორგანიზაციამ სამხედრო და პოლიტმომზადების საქმეში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენს ნაწილში.

მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან პარტკანდიდატები ამხ. ბარულინი, მენეევი, ზაიცევი, პონომარენკო, პეისახოვიჩი, კარაიანი და სხვ., რომლებიც აგიტატორ-წამკითხველებად მუშაობენ დანაყოფებში. პარტკანდიდატი ამხ. მენეევი კომკავშირის პრეზიდიუმის მდივნად მუშაობს. ის ბოლშევიკურად ხიზნავდ მებრძოლობს კომკავშირის ორგანიზაციის. ამის შედეგია ის, რომ ამ ორგანიზაციის ყველა კომკავშირელი სროლის საუკეთესო ოსტატია. ამხ. კვლევი არჩეულია კედლის გაზეთის რედაქტორად. ის ენერგიულად მუშაობს კედლკორებთან, ხშირად ატარებს კედლკორთა თათბირებს, ეხმარება მათ მუშაობაში. ამის შედეგად მრავალი უნარიანი კედლკორი გამოიზარდა, როგორიცაა, მაგალითად, ამხ. ტორჩინსკი, კარაიანი, მაშკოვი, კა

ᲒᲐᲖᲝᲤᲘᲜᲘᲡ ᲐᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲒᲔᲠᲓᲔᲑᲐ

(ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)





ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲒᲐᲖᲝᲤᲘᲜᲘᲡ ᲐᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲒᲔᲠᲓᲔᲑᲐ

(ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ